ცნობის ფურცელი

№ 2224 პარასკევი, 1 აგვისტო. 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2224

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნონ.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—101)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ბრ. გ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახაშენიშვილი

15 აგვისტომდე სოფლად დარჩება. 15 აგვისტოდან კი ტფილისში დაიწყებს ავადმყოფების მიღებას. (3—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები

I

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილისაგან

14 სურათით. 62 გვ. ფასი 20 კაპ.

II

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც ამ ადრესით: Тифлисъ, Общество распространенія грамотности. (3—ვ—1)

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5.—5)

ცინკოგრაფია

ტიფლ. გამომ. ქართველთა ამხანაგობისა

განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ფრანგულმა გაზეთებმა, თითქმის ყველამ, წერილები უძღვნეს ახალ პაპს. მთავრობის მომხრე გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთისათვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს პაპადაო; სულ ერთია, როგორ პოლიტიკასაც უნდა დაადგეს პაპი პიუს მე-X-ო, რადგან ახლო მომავალში კონკორდათი უსათუოდ უნდა დავარღვიოთ და ეკკლესია სახელმწიფოსაგან უნდა გავანცალკევოთო. სხვა გაზეთები სიხარულით ეგებებიან ახალ პაპს, რადგან პიუს მე-X შერიგების პოლიტიკის მომხრეაო. „მატენ"-ს იმედი აქვს, ახალი პაპი მთელის ქვეყნიერობის მეგობარი იქნებაო. „ფიგარო" იმ აზრისაა, რომ სარტოს არჩევა ავსტრიისა და გერმანიის გამარჯვების ნიშანიაო.

✦ დეპუტატმა დეტურნელმა გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს მისწერა, საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს მომხრე დეპუტატები ნორვეგიისა, ჰოლანდიისთან, იტალიასთან და სხვა სახელმწიფოებთანაც მოლაპარაკებას გამართვენო. თუ სხვა და-სხვა სახელმწიფოს დეპუტატები სამედიატორო სასამართლოს დაწესებაზე შეთანხმდებიან, მაშინ დეპუტატები ევროპის სახელმწიფოებს მიჰმართავენ და სთხოვენ, ჯარისა და იარაღის ხარჯი შეამოკლონ. დეპუტატები პირველად იმას ეცდებიან, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შუა უმთავრესი სადავო საქმეები მორიგებით გაათავონო.

ინგლისი. ჩემბერლენის საფინანსო პროექტმა მინისტრებშიაც კი განხეთქილება ჩამოაგდო: ზოგი ჩემბერლენს ემხრობა, ზოგი წინააღმდეგია. „დეილი მაილ"-ს შეუტყვია, თუ ჩემბერლენი დევონშირის ჰერცოგს თავისს მხარეს ვერ გადაიყვანს, მაშინ პირველი მინისტრი ბალფური სამსახურიდან გადადგებაო; თუ ეს გამართლდა, მეფე დევონშირის ჰერცოგს მიანდობს ახალ კაბინეთის შედგენასო; ამ შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნა საჭირო აღარ იქნება. მაგრამ საეჭვოა, დევონშირის ჰერცოგმა კაბინეტის შედგენა იკისროს, რადგან ჰერცოგმა ან ლიბერალური სამინისტრო უნდა შეადგინოს, ან ახალი საზოგადო არჩევანი უნდა დანიშნოს.

✦ ნატალის პარლამენტში წინადადება შეიტანეს, ლედისმიტში ძეგლი დაუდგით ცნობილ გენერალს ჯორჯ უაიტსაო. ეს წინადადება 18-ის ხმით 16-ს წინააღმდეგ უარუყვიათ. გენერალი უაიტი ინგლის-ბურების ომის დროს ლედისმიტს იცავდა ბურებისაგან და ბევრჯელ დამარცხდა კიდეც.

იტალია. პიუს მე-IX-სა და ლეონ მე-XIII-ს დროს მართლ-მორწმუნე კათოლიკეებს პოლიტიკურ არჩევნებში მონაწილეობის მიღება აკრძალული ჰქონდათ. იტალიური გაზეთები დიდის ინტერესით ჰკითხულობენ, როგორ პოლიტიკას დაადგება ახალი პაპი, იქნება კათოლიკეებს არჩევნებში მონაწილეობის მიღება აღარ დაუშალოსო. ამ საქმეზე ცნობილმა პუბლიცისტმა გულიელმა ფერერომ გაზ. „სეკოლო"-ში მთელი წერილი დასწერა. ფერერო სწერს:

ზოგის აზრით, ვატიკანმა მართლ-მორწმუნე კათოლიკეებს პოლიტიკურ არჩევნებში მონაწილეობის მიღება იმიტომ აუკრძალა, რომ იტალიის პარლამენტში კონსერვატორების პარტიის გაძლიერებას ხელი შეუშალოს, სოციალისტების გაძლიერებას ხელი შეუწყოს და ამით იტალიის მთავრობა გაჭირვებაში ჩააგდოს. ეს სწორე აზრია, მაგრამ ამ აკრძალვის უმთავრესი მიზეზი სულ სხვაა: ვატიკანს უნდა, თავისი თავიცა და კლერიკალური პარტიაც განსაცდელისაგან დაიხსნას. კარგა ხანია, რაც კლერიკალები პაპის საერო უფლებასა და ხელმწიფებაზე ხმას აღარ იღებენ; ეს საგანი კი უმთავრესი საგანია კლერიკალებისათვის. ეს ადვილი გასაგებიცაა: წარმოვიდგინოთ, რომ პაპისტებმა უკიდურესი მარჯვენა პარტია შეადგინეს და პარლამენტში გამოაცხადეს, რომის კანონიერ მეუფედ მარტო პაპს ვსთვლითო. არ ვიცი, კლერიკალური პარტია იშოვიდა იმისთანა კაცებს, ორიოდე ჭკუაზე შეშლილს გარდა, რომ ასეთი საქმე იკისრონ, თუ ვერა. მაგრამ, რაკი პაპი მთელის ქვეყნიერობის წინ თავისს ძველ უფლების აღდგენას თხოულობს, კლერიკალური პარტიაც უსათუოდ მოვალე იქმნებოდა, პაპისათვის მხარი მიეცა. თუნდაც ამ პარტიამ თავზე ხელ-აღებული ადვოკატები იშოვოს საიდახმე, განა წინადვე ყველამ არ იცის, თუ რა ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ისინი იტალიის ხალხზე და ყველას რა ნაირად შეაჯავრებდნენ და შეაძაგებდნენ კლერიკალებს. ყველაზე უფრო დიდ გაჭირვებაში კონსერვატორების პარტია ჩავარდებოდა; ესენი მალე მიჰხვდებოდნენ, რომ კლერიკალი მოყვრები მტრებზე უფრო საშიშნი და მავნებელნი არიან იმათ პარტიისათვის. რომის წმ. ტახტმა წინადვე ასწონ-დასწონა ყველაფერი და თავისს მიმდევრებს პოლიტიკურ არჩევანში მონაწილეობის მიღება აუკრძალა.—ახალმა პაპმა რომ ეს აკრძალვა გააუქმოს, თანამედროვე საერო, არა საეკლესიო, იტალიას დიდ დახმარებას გაუწევს. ამიტომ არა მგონია, პაპმა ძველი პოლიტიკა შესცვალოს. ხსენებული აკრძალვა რომ გააუქმოს, მაშინ ვატიკანის პოლიტიკაში ბევრი რამ ისეთიც უნდა შეიცვალოს, რისიც შეცვლა ერთ დღეს ვერ მოხერხდება."

ავსტრო-უნგრეთი. პარლამენტის კომისიას ჟურნალისტმა გეგიომ მისწერა: გრაფ საფარის მონდობილობით გაქცეული დინესი საზღვარ გარედ გავაცილეო; ამას გარდა, როცა დინესი ჰამბურგში გემში ჩაჯდებოდა და ამერიკისაკენ გაემგზავრებოდა, 50,000 კრონა უნდა ჩამებარებინა დეპუტატის შემსყიდველისთვისაო. ნამდვილად კი გეგიოს დინესი მარტო ბერლინამდე მიუცილებია და ხსენებულ ფულიდან ნახევარი ჩაუბარებია; დანარჩენი ფული კი საფარისათვის დაუბრუნებია; ეს ფული დინესის სახლობას მიეცემაო.

✦ დამოუკიდებლობის პარტიის მეთაურმა კოშუტმა წინად ახალ სამინისტროს პროგრამა მოიწონა და თავისს პარტიას ობსტრუქციაზე ხელის აღებას ურჩევდა. პარტიას ჭკუაში არ მოუვიდა მეთაურის რჩევა და ობსტრუქციაზე ხელი არ აიღო. კოშუტი იძულებული იყო, თავისს თანამდებობიდან გადამდგარიყო, მერე კი საქმე ისე წავიდა, რომ კოშუტი ისევ მიემხრო ობსტრუქციონისტებს. პარტიამაც კოშუტი ხელმეორედ აირჩია თავისს მეთაურად. პარლამენტის უკანასკნელ სხდომის დროს კოშუტმა მოითხოვა, სამინისტრო სამსახურიდან გადადგესო, რადგან პირველ მინისტრს დეპუტატების შესყიდვას სწამებენო. გრაფ კუენ ჰედერვარიმ უპასუხა: მოვალე ვარ ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ ჩემს თანამდებობას თავი არ დავანებოო. დამოუკიდებლობის პარტიამ იმპერატორის სახელობაზე ადრესი დასწერა და შიგ ყველა თავისი მოთხოვნილება ჩამოსთვალა. პარტია თხოულობს, რომ ჰუნგრეთის ჯარში ჰუნგრული ენა შემოიღონ, საიმპერიო გარეშე საქმეთა სამინისტრო მარტო ვენაში როდი უნდა იმყოფებოდესო: დიპლომატები ბუდაპეშტშიაც მშვენივრად იცხოვრებენო. ბოლოს პარტია თხოულობს, ბოსნია-ჰერცოგოვინა და დალმატია ჰუნგრეთს შემოუერთდესო. ასე რომ დამოუკიდებლობის პარტია თანდათან უფრო მეტმეტს თხოულობს. გრაფი კუენ-ჰედერვარი ამ ჟამად, რასა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ დაუთმობს ოპოზიციას,—რადგან დათმობით მხოლოდ თავისს სისუსტეს გამოაშკარავებს.

შეერთებული შტატები. აქაური თეთრი ხალხი მეტად უსამართლოდა და მხეცურად ექცევა ზანგებს: ადამიანებად არც-კი სთვლიან: დღე ისე არ გავა, სადმე ზანგი არ მოჰკლან, ან არ დატანჯონ. ეგ კია, რომ ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა და ყველას ხმის ამოღებისა და წერის უფლება აქვს. ამას გარდა, თითონ ამერიკელებშიაც ბევრი თანაუგრძნობს და ყოველნაირად ეხმარება ზანგებს. თითონ პრეზიდენტ რუზველტმაც ხომ ისე გამოიდო თავი ზანგებისათვის, რომ ლამის მთელი ქვეყანა გადაიკიდოს. ზანგის მოსისხლე მტრებს ძლიერა სწყინთ და ჯავრი მოსდით, რომ რუზველტი ასე კარგად უყურებს ზანგებს. ეხლა რესპუბლიკელ პარტიის ნაწილიც ლამის გადაუდგეს პრეზიდენტს. გაზეთებს სწერენ:

პრეზიდენტ რუზველტის ქცევამ ლუიზიანის შტატის რესპუბლიკელ პარტიაში დიდი განხეთქილება ჩამოაგდო. პარტიის მეთაურებმა თავისს პოლიტიკურ თანამოაზრეებს წერილები მისწერეს და სთხოვეს მომავალ წელს პრეზიდენტის არჩევნის დროს რუზველტს ნუღარ მიემხრობითო; ისევ ისა სჯობია დემოკრატების კანდიდატს დაუჭიროთ მხარიო; როგორც უნდა იყოს, მაინც რუზველტს ემჯობინებაო; ეხლანდელი პრეზიდენტი ნამდვილი რეაქციონერია; თავისს საკუთარ სახელის გულისათვის რომ კაცთმოყვარედ მოეჩვენოს ქვეყანას, თეთრ ხალხს შეურაცხყოფას აყენებს და მხეც ზანგების თანასწორ ხალხადა სთვლისო.

✦ ცნობილ მარგანის ფოლადის ტრესტის პრეზიდენტი და მმართველი შვაბი თავისს თანამდებობიდან გადადგა; იმის ადგილას „კარნეჯის ფოლადის საზოგადოების" თავმჯდომარე კორეი დანიშნეს.

ჩინეთი. ჩინური გაზეთი „ტიან-ძინ-ჟი-ჟისონვენ"-ი სწერს:

„ინკოუდან გვატყობინებენ, რუსები ტელეგრაფისა და ტელეფონის შეკეთებას შეუდგნენ. ხმა დადის, მალე ყველა უცხოელი მოვაჭრე იძულებული იქმნება ინკოუდან გავიდეს, რადგან კორეასა, პორტ-არტურსა და ინკოუში იქმნება სამხედრო მოქმედება დაიწყოსო".

✦ იგივე გაზეთი სწერს:

„ევროპიდან გვატყობინებენ: რუსები მანჯურიაში დღე და დღე ჯარს უმატებენ და საომრად ემზადებიანო. ასე მაგალ., ყვითელ ზღვაში დიდ-ძალი გემი უდგათ; ჯარის უფროსმა მონგოლიაში კაცები გაგზავნა ცხენებისა და აქლემების საყიდლად; ეს კაცები ეხლა მანჯურიაში დაბრუნდნენ".

✦ იაპონური გაზეთი „ძუნ-ვაი-ჟი-ბაო" სწერს:

ინგლისური გაზეთი „სტანდარდ"-ი სწერს: რუსეთის დიპლომატიური ურთი-ერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან დღე და დღე მწვავდებაო. ინგლისსა, ამერიკას და იაპონიას მოჰბეზრდათ ყურება და ლოდინი; რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთი კი მანჯურიიდან ჯარის გაყვანას დღესაც არა ჰფიქრობს; არა თუ არ გაჰყავს, ახალიც მიჰყავს. რუსეთმა ეხლა ორში ერთი უნდა არჩიოს: ან სამ სახელმწიფოს გადაეკიდოს და თავისი თავი განსაცდელში ჩააგდოს, ან არა და ამ სახელმწიფოს დაუთმოს და ამით თავისი ღირსება დაჰკარგოს.

ახალი ამბავი

◆ როგორც ბაქოს გაზეთებს გაუგიათ, საბოლოოდ გადასწყდა თურმე **ამიერ კავკასიაში მაგარ სასმელების მონოპოლიის** შემოღება. სააქციზო გადასახადების გამგე ამიერ-კავკასიაში ბ-ნი პერშკე ამ ჟამად პეტერბურგშია ამ საქმის გამო. მონოპოლიის შემოღებას სულ ცოტა ხანში შეუდგებიან.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ **ზაფხულს** სოჭში ჩამოვა მიწათ-მოქმედების **მინისტრი ა. ს. ერმოლოვი**. იქვე აპირობენ ჩამოსვლას ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე.

◆ როგორც „პრავ. ვესტ“-შია დაბეჭდილი, უმაღლეს მთავრობას **დაუმტკიცებია წესდება** ქუთაისის სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ-ადიუტანტს ა. ა. „ფრეზეს **პეტერბურგიდან ტფილისში მოელიან** აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

◆ ორი დღეა **ოდესის გაზეთები** აღარ მოგვსვლია. როგორც გვატყობინებენ, ამ ორ დღეს გაზეთები არ გამოსულან.

◆ **ბაქოს საპყრობილეში**, როგორც „ბაკინ. იზვ.“ გადმოგვცემს, ამ ჟამად 150 კაცია დაპატიმრებული უწესოების მოხდენისათვის.

◆ ტფილისის სახაზინო პალატამ უკვე გაანაწილა ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქებზე სახელმწიფო გლეხთა **საიჯარო და საადგილ-მამულო გადასახადები**. პირველი 484 ათასი მანეთია, მეორე—82,687 მან.

◆ **ბათუმიდან გვწერენ**: „29 ივლისს, საღამოს ათ საათზე, მარიინსკი პროსპექტზე მოჰკლეს ხაჩატურიანცის ქარხნის გამგე თარხანიანი. ამბობენ, წინა დღეს ვიღაც უცნობებს ბავშვის ხელით წერილი მიეგზავნათ, ათას ხუთასი მანეთი უნდა მოგვცე რაღაც საქმისთვის, თუ არა მოგკლავთო. იმას უარი შეუთვლია და ბავშვი პოლიციისთვის გადაუცია. მართლაც, მეორე დღეს საღამოზე მუქარა აასრულეს. ერთი მკვლელი უკვე შეიპყრეს: როდესაც იგი მირბოდა, პოლიციის მოხელემ რევოლვერით დასჭრა. დაჭრილი ტომით სომეხია“.

◆ გუბერნატორის დადგენილების თანახმად, **შუაბაზრისა, შაითან-ბაზრისა** და ტფილისის თვალ-საჩინ ქუჩების ზოგიერთი ვაჭრები დილის 8 საათზე ადრე აღებენ მაღაზიებს და სავაჭროებს და საღამოს 8 საათზე გვიანაც ჰკეტავენ.

◆ ტფილისის ხორცის დუქნების გამგე კომისიამ 30 ივლისს განიხილა მოხსენება ქალაქის საყასბოში **საკლავ საქონლის დაზღვევის შესახებ**. კომისიამ შეასწორა ის პროექტი, რომელიც ამას წინად მთავრობამ უკან დაუბრუნა ქალაქის გამგეობას, და დაადგინა, მთავრობის წინაშე აღიძრას შუამდგომლობა ამ პროექტის სისრულეში მოსაყვანად და უფლების მოსაპოებლად.

◆ ტფილისის ხელოსანთა მამასახლისმა მისწერა უსტაბაშებს, **უწესოებებისა და უთანხმოებების** თავიდან ასაცილებლად, როდესაც ხელოსანნი და შეგირდები თხოულობენ რასმეს, მე შემატყობინეთ, რომ დროზე საგუბერნიო მთავრობას ვაცნობო და დავაკმაყოფილო იმათი მოთხოვნილებაო. რომელი უსტაბაშიც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, თანამდებობიდან დაითხოვენ, ხელოსანთა სიიდან ამოშლიან და პასუხის გებაში მისცემენ.

◆ ქალაქ გორის რწმუნებულთა კრებამ ერთხმად დაადგინა, გადასდოს ყოველ წელიწადს 2000 მანეთი იმ **ქალთა გიმნაზიის დასაარსებლად**, რომელიც განიზრახა თავად-აზნაურობამ.

◆ **როგორც ტფილისის საყასბოს** გამგის მოხსენებიდანა სჩანს, საყასბოში ჯერ არა ყოფილა გაყვანილი წყლის მილი და აგრეთვე არხი უსუფთაობისთვის. რაღა თქმა უნდა, საკმაო წყლის უქონლობისა გამო საყასბო ძალიან გაჭირვებულია.

◆ როგორც გვატყობინებენ, სიღნაღის მაზრის უფროსს **იორ-მუღანლოს მცხოვრებთათვის** იარაღი აუყრია. იგი ყოველსავე საშუალებას ხმარობს თურმე, რომ ამ სოფლის მცხოვრებთ თოფი, რევოლვერი და სხვა იარაღი არ ატარონ.

◆ ბორჯომში წელს ძალიან მცირე ფასებში გაქირავებულა აგარაკები, ზოგი ცარიელიც დარჩენილა, რადგან მოაგარაკენი ნაკლებად მისულან. სურამშიაც ამ ორის კვირის წინად მოაგარაკეთა რიცხვი მცირე იყო, მაგრამ ორ კვირაში (რაც ბაქოში ცეცხლი გაჩნდა) იმდენი მოაგარაკე მიაწყდა თურმე სურამს, რომ თითქმის ყველა აგარაკი გაქირავდა. კოჯორშიაც ასეთი ამბავია თურმე. ამ ჩამოთვლილ აგარაკებისთვის გაუსწვრია წელს მანგლისს, სადაც ამ ჟამად ბაქოდან ჩამოსული აუარებელი მოაგარაკეა.

◆ **კავკასიაში ახლად გადმოსულ რუსთა დასასახლებლად** პეტერბურგიდან ორი მოხელე გამოჰგზავნეს—სტანკევიჩი და ავალოვი. ორივენი ამ ჟამად ტფილისში არიან.

◆ **სოფ. ხარაგაულიდან სთხოვენ** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეატყობინოს, სად უფრო შეიძლება იაფ-ფასად შეძენა საუკეთესო მატყლისა. ხარაგაულისა და მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებნი ამ ბოლოს დროს ძალიან მუყაითად ეკიდებიან სხვა-და-სხვა ქსოვილების კეთებას.

◆ გუშინ, 31 ივლისს, ტფილისის **საგუბერნიო ექიმი ბ. ტ.** ქიქოძე სამსახურის საქმეებისა გამო ალბულაღს გაემგზავრა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს სექტემბრიდან **ბორჯომში** სადგურიდან თვით აგარაკამდე გამართოს ელექტრონის რკინის გზა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ტფილისის სახაზინო თეატრის** საქმეების განსაგებად დაინიშნა ახალი დირექცია. დირექციის თავმჯდომარედ გენერალ-მაიორი მ. რ. ეროფეევია, წევრებად—საგანგებო საქმეთა მოხელე მთავარ მართებელთან უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი და პოლკოვნიკი ვ. ნ. აკიმოვი.

◆ წარსულ თვეში, დიდის წვიმებისა გამო, მეტად გაფუჭებულა პოლიციის მე-6 ნაწილში ძველი სადამფუნო ქუჩა, სადაც დიდის ხრამებისა გამო გავლა ძნელია. პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულმა ეს ამბავი შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინონ ამ ქუჩის შესაკეთებლად.

◆ მტკვრის პატარა ტოტი, რომელიც თითქმის დაშრა, უსუფთაობით არის სავსე, რადგან შიგ ნაგავსა ჰყრიან. პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულმა ეს ამბავი შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს, ეს ადგილი გაიწმინდოს.

◆ მოგვივიდა ახალი წიგნი „თამარიანი“ საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის მოყვარულთა პირველი გამოცემა გ. თუმანიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით. წიგნი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული და ღირს ორ-აბაზად.

რუსეთის ქრონიკა

◆ „პრავიტელსტვენ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ 23 ივლისს კიევში რკინის გზის მუშები არ გამოსულან სამუშაოდ. ამიტომ რკინის გზის გამგეობა იწვევდა იმათ, ვისაც მუშაობა არ ჰსურდა, ანგარიშში გაესწორებინათ. ნასადილევს მუშები სახელოსნოებთან რომ მივიდნენ, კარები დაკეტილი დახვდათ. კრება მოახდინეს, რომელსაც შეუერთდნენ მახლობელ მანქანათა ქარხნების მუშები. სულ 2 ათასამდე კაცმა მოიყარა თავი, მოიცვა რკინის გზის ლიანდაგი, არ დაემორჩილა პოლიციის მოთხოვნილებას და არ დაიშალა. ჯარებს ებრძანათ, გაეფანტათ ხალხი, რაიცა აასრულეს კიდეც. იარაღი არ უხმარიათ. შემდეგ მუშებმა დაიწყეს ქვების სროლა; დაშავდა ნასროლი ქვებით მაზრის უფროსის თანაშემწე ზავადსკი, ერთი ოფიცერი და რამდენიმე ჯარის კაცი. ჯარს ებრძანა იარაღი ეხმარათ. ორჯელ ესროლეს თოფი ხალხს. მოკლულია 3 კაცი და დაჭრილი 24. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდნენ 15 ქარხნის მუშები.

◆ „იუჟნ. როს.“-ში დაბეჭდილია ნიკოლაევის უფროსის ენკვირტის შემდეგი ბრძანება: რადგან ქ. ნიკოლაევში არეულობა დაიწყო, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ აკრძალულია ქუჩებსა, მოედნებსა და ტროტუარებზე ხალხის ყრილობა. ალაყაფის კარები და ქუჩაში გასავალი კარები ყველა სახლებისა დაკეტილი უნდა იყოს და მხოლოდ მაშინ უნდა გააღონ, როცა ამას უკიდურესი საჭიროება მოითხოვს. მაღაზიები, დუქნები და ღვინის სავაჭროები, სადაც არაყითა და ღვინით ვაჭრობენ, დაკეტილი უნდა იყოს. დამნაშავენი დაისჯებიან გაძლიერებულის დაცვის წესდების თანახმად.

◆ ბესარაბიის გუბერნიის საერობო გამგეობამ განასაჩივრა სენატში გუბერნატორად ნამყოფის ფონ რააბენის განკარგულება საერობო საავადმყოფოს ექიმის შესახებ, რომელსაც გუბერნატორმა შესწამა, გაზეთების კორესპონდენტებს ცნობებს აძლევს კიშინევში ებრაელებზე თავ-დასხმის დროს დაშავებულთა შესახებო და ამიტომ გადააყენა სამსახურიდან.

◆ ოდესის ქალაქის უფროსის დადგენილებით კიდევ დაპატიმრებულ იყვნენ 19 და 21 ივლისს მომხდარ არეულობაში მონაწილენი: 4 კაცი—1 თვით, 1—ორის კვირით და 1-იც—1 კვირით.

◆ რადგან მდინარე ვისლას მიდამოდან და რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ყოველ წელს 50 ათასამდე ებრაელები მიდიან ამერიკაში დასასახლებლად, პეტერბურგის ცენტრალურ საახალშენო კომიტეტში შესდგება განსაკუთრებული ბიურო, რომელიც სხვა-და სხვა ქვეყნებში აგენტებს იყოლიებს და ხელმძღვანელობას გაუწევს გადასახლებულ ებრაელთ და დაიცავს მათ კერძო

ფელეტონი

თანამედროვე გალიციის ცხოვრებიდან*)

გალიცია, რომელიც დღეს ავსტრიის იმპერიის პროვინციას შეადგენს, ოდესღაც დამოუკიდებელი რუსის სამთავრო იყო, გალიჩის და ვლადიმირის სახელით. მეთოთხმეტე საუკუნეში იგი დაპყრობილ იქმნა პოლონეთის მეფეების მიერ და ამდენხანს შინაურის ომებისა და თათრებისაგან დაუძლურებული გალიცია ეხლა დადგა წარმატების გზას. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, პოლონეთის დანაწილების დროს, გალიცია გადავიდა ავსტრიის ხელში, რომელმაც ყოველ მხრით დაუწყო დევნა და შევიწროება გალიციის მცხოვრებლებს.

1866 წლამდის ავსტრია ყოველის ღონით ცდილობდა გალიციელების ძალად გაგერმანელებას. გალიცია გაივსო ავსტრიის მოხელეებით, რომელნიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, მკვიდრთა გერმანიზაციისათვის. ყველაფერს დევნიდნენ, რასაც-კი ეროვნული პოლონური ხასიათი ჰქონდა. პოლონური ენა გამოდევნილი იქმნა სკოლებსა, სასამართლოებსა და ადმინისტრაციიდან. ამასთანავე ავსტრიის მთავრობა არაფერს ღონეს არ ღონობდა, რომ გაევითარებინა გალიცია ქონებრივად და კულტურულად. პირ-იქით, ხელსაც უშლიდა განვითარებას და ძირშივე სპობდა ყოველს კერძო ინიციატივას მცხოვრებლებისას.

რასაკვირველია, პოლონელთა საზოგადოებას (1848 წლამდის გალიციაში მხოლოდ პოლონელთა შორის იყო განათლებული კლასი; რუსინთა ინტელიგენცია გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან) არ შეეძლო წინააღმდეგობა არ გაეწია ასეთის პოლიტიკისთვის და არ დაეცვა თავისი თავი. პირველად პოლონელთა უკმაყოფილება გამოიხატა პატარ-პატარა აჯანყებით და შეთქმულებათა შედგენით. 1831 წლის შემდეგ ძლიერ გაფართოვდა უკმაყოფილება და მიიღო დემოკრატიული მიმართულება. 1831 წელს რუსეთის პოლონეთის აჯანყების შემდეგ ბევრი პოლონელი ემიგრანტი გადასახლდა რუსეთიდან გალიციაში. ემიგრანტებმა პირადის გამოცდილებით იცოდნენ, თუ რა სუსტია ყოველი მოძრაობა, რომელსაც არ მიემხრობა ხალხი. ამიტომ შეუდგნენ გალიციაში დემოკრატიულის იდეის გავრცელებას და ამტკიცებდნენ, რომ პოლონელები მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ კეთილდღეობას, როდესაც უბრალო ხალხი და გლეხობა შეიგნებს თავის პოლონელობას და გლეხების ეროვნულ თვით-ცნობიერების გამოსაღვიძებლად; ამბობდნენ, საჭიროა, რომ ისინი შეიქნენ სრულ უფლებიანი წევრები ერისა, საჭიროა რეფორმები, ხალხის განათლება, ყველაზე უწინარეს კი მისი განთავისუფლება მძიმე გადასახადებისაგანო.

ასეთის აზრების გავრცელებას ხელს უწყობდა „დემოკრატიული საზოგადოება“, რომელიც დააარსეს პოლონელმა ემიგრანტებმა პარიზში 1832 წ.; ემიგრანტების შემწეობით გალიციაში დაარსდა საიდუმლო საზოგადოება „პოლონელი უბრალო ხალხი“, რომელსაც განზრახული ჰქონდა გალიციის განთავისუფლება გლეხების აჯანყებით. ამ საზოგადოების წევრი იყო ყველა გამოჩენილი გალიციელი, საზოგადოებას ეკუთვნოდა ბევრი გლეხიც. ავსტრიის მთავრობამ მიაგნო ამ საზოგადოების კვალს და მეტად სასტიკი ზომები მიიღო მის წინააღმდეგ. მაგრამ მოძრაობა მაინც არ შეწყდა და „დემოკრატიული საზოგადოება“ ამზადებდა ხალხს საერთო აჯანყებისათვის, რომელიც უნდა დაწყებულიყო მებატონის ბეგრის მოსპობით და გლეხებისათვის მიწების დარიგებით. აჯანყება დანიშნული იყო 1846 წ. 21 თებერვლის ღამეს. გლეხებს უნდა გამოცხადდებოდათ თავისუფლება და მოქალაქობრივი თანასწორობა, ბეგრის და სხვა გადასახადების მოსპობა, დასაკუთრება იმ მიწებისა, რომელთაც ისინი უკვე ფლობდნენ და მიწების დარიგება უმიწოთათვის, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ აჯანყებაში.

ავსტრიის მთავრობას არ ჰძინავდა და რაკი ჯარის (რომელიც შესდგებოდა უკმაყოფილო ჰუნგართაგან) იმედი აღარ ჰქონდა, საზიზღარ ტყუილს მიჰმართა: გაავრცელა ხმა, რომ იმპერატორი ბეგარას სპობს, მებატონეებს არ უნდათ ეს და ამიტომ აპირებენ ამბოხებასო. ბევრმა გლეხმა დაიჯერა მთავრობის სიყალბე და აჯანყება ველარ მოხდა. მთავრობამ სატუსაღოები პატიმრებით გაავსო და რამდენიმე კაცი ჩამოახრჩო, გლეხებს მცირე რამ შეღავათი მისცა, რომ მთლად არ მოეტყუილებია.

ორის წლის შემდეგ გალიცია კვლავ ამოძრავდა. ეს იყო 1848 წელს, როდესაც მთელს ევროპაში რევოლიუციები ხდებოდა. კრაკოვსა და ლვოვში ხალხმა შეადგინა ეროვნული კომიტეტი და გაუგზავნა იმპერატორს პეტიცია, რომელშიაც თხოულობდა ბატონ-ყმობისაგან დარჩენილის გადასახადების მოსპობას, სრულს პოლიტიკურს და მოქალაქობრივს თანასწორობას, დამოუკიდებელ და საკუთარ პროვინციალურ ადმინისტრაციას, საყოველთაო პოლიტიკურს ამნისტიას, ყველა კლასის წარმომადგენლობას სეიმში, ცენზურის მოსპობას, ნაფიცთა სასამართლოებს, პოლონურ ენას სკოლებსა, სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში. ავსტრიის მთავრობას არ ეამა, რომ შეღავათი მისგან არ ეძლეოდა გლეხებს და, რადგან კომიტეტის მიერ ბეგარის მოსპობის დღედ დანიშნული იყო 23 აპრილი, მთავრობამ გლეხების გულის მოსაგებად დაასწრო კომიტეტს და თვითონ გამოაცხადა 18 აპრილს ბეგარის და სხვა გადასახადების მოსპობა. მთავრობა ვითომ გლეხების დამცველად გამოვიდა მებატონეების წინააღმდეგ. ამავე დროს გაუწია მფარველობა (თავისებური) რუსინებს პოლონელების წინააღმდეგ; თანაც იცავდა მსხვილ მემამულეებს წვრილების წინააღმდეგ, რომელნიც უფრო დემოკრატიულ გზას ადგნენ. ამით მთავრობას უნდოდა, განხეთქილება ჩამოეგდო გალიციის მკვიდრთა შორის. ავსტრიის მოხელეებმა მოიმხრეს კონსერვატიული ელემენტი და მალე კონსერვატორ და დემოკრატ გალიციელთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ჰუნგართა აჯანყების დროს დემოკრატები აჯანყებულთ მიემხრნენ; უკანასკნელების დამარცხების შემდეგ, მთავრობამ, რასაკვირველია, შეზღუდა მკვიდრთა თავისუფლება და უკან წაიღო ბევრი ახლად მინიჭებული უფლება. მაგრამ გალიციელებს შერჩათ ბეგარის მოსპობა და მოქალაქობრივი უფლებათა გაფართოება. ისარგებლეს ამით და შეუდგნენ კულტურულ მუშაობას. გაჩნდნენ ნიჭიერი

---

*) ლ. ვასილევსკის წიგნიდან.

კომპანიების ექსპლოატაციისაგან. ამ საქმის განხორციელებისათვის საჭირო თანხა—მდიდარი ებრაელის ჰირშის ანდერძით დატოვებული მილიონებია.

◆ საერო განათლების სამინისტროში ამ მოკლე ხანში გადასწყდება საკითხი იმის შესახებ, თუ რანაირი პროგრამა უნდა იქმნას შემოღებული სასწავლებლებში 1903—1904 სამოსწავლო წლებში. რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ხმა დადის, რომ იმ მოწაფეთათვის, რომელთაც ბერძნული ენის სწავლა გასულ წელს დაიწყეს, ეს ენა სავალდებულოდ დარჩება კურსის დასრულებამდისო, მეხუთე კლასის მოწაფეთათვის-კი, რომელთაც ამ ენის სწავლა 1903—04 წელში უნდა დაეწყოთ, ბერძნულის სწავლა სავალდებულო არ იქმნებაო. ამნაირად ბერძნულ ენას მხოლოდ თან და თან გააუქმებენ გიმნაზიებში.

◆ კიევის გაზეთები იუწყება, რომ რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოებში გაკრულია გზის უფროსის მიერ ხელ-მოწერილი განცხადება: უცხადებენ მუშებს, დღეს 12 საათამდის მუშაობას თუ არ დაუბრუნდებით, სახელოსნოები დაიკეტება უვადოთ და ყველა მუშები დათხოვნილ იქნებიანო.

პრესსა

„აღმოსავლეთის საფრანგეთის სკოლის“ ჟურნალში წერილია მოთავსებული ახალგაზდა ჩინელების შესახებ, რომელნიც იაპონიაში მიდიან განათლების მისაღებად.

ჩინელ სტუდენტთა რიცხვი იაპონიაში დიდიაო, ამბობს ჟურნალი. ქალაქ ტოკიოში ამას წინად 500 ახალგაზდა ჩინელ მოსწავლეს მოუყრია თავი. მას შემდეგ, რაც იაპონიამ დაამარცხა ჩინეთი, წარჩინებულნი ჩინელნი ჰგზავნიან თავის შვილებს იაპონიაში განათლების მისაღებად, მაგრამ ამას მათთვის სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა.

1898 წლის რეაქციის შემდეგ, რეფორმების მოწადინებული მრავალი ჩინელი გაიქცა იაპონიაში და დაიწყეს იქ გაზეთის გამოცემა ლინგ-კი-ჯაოს ხელმძღვანელობით; ამ გაზეთის ყოველ ნომერში უჩიოდნენ ჩინეთის ქვრივს დედოფლისა და მისის მხლებლების სისასტიკეს და აგრეთვე ავრცელებდნენ საფრანგეთის ცნობილ მწერლების მონტესკიესა და რუსსოს აზრებს. ახალგაზდა ჩინელები აღტაცებით ეკიდებიან ამ ამბებს და ამიტომ ჩინეთის მთავრობას ისინი რევოლიუციონერებად მიაჩნია. ჩინეთის ელჩი იაპონიიში სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ამ ახალგაზდა ჩინელების მიმართულებამ და მან საიდუმლოდ აცნობა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ჩინელ ახალგაზდებს აეკრძალოთ იაპონიაში წასვლა განათლების მისაღებადაო. ჩინელ სტუდენტებს მათ სამშობლოში გავლენიანი მომხრენი გამოესარჩლნენ და სენგადააყენები სამსახურიდან ჩინეთის ელჩი.

ჩინეთის მთავრობა მაინც ეჭვის თვალით უყურებს ამ ახალგაზდებს და სხვათა შორის დაავალა პრინც წაი-ჯენს, იაპონიაში ყოფნის დროს სასტიკად ედევნებინა თვალ-ყური ჩინელ სტუდენტებისათვის. გარდა ამისა ჩინეთის იმპერატორის დეკრეტში გამოცხადებული იყო სურვილი, რომ ჩინეთის ახალგაზდობა იაპონიის მაგიერ ევროპაში ან ამერიკაში წავიდეს განათლების მისაღებად. პრინც წაი-ჯენის წინადადებით ერთი განსაკუთრებული თანამდებობა დაარსდა „იაპონიაში ჩინელ სტუდენტების გენერალ-ინსპექტორისა,“ რომელმაც იაპონიაში უნდა იცხოვროს და თვალყური ადევნოს ჩინელ სტუდენტებს.

რაც შეეხება თავად იაპონელებს, ევროპაში ამ ჟამად 320 იაპონელი სტუდენტია და ამერიკაში—554. ბუდდას მოძღვრების მიმდევარი ხალხები, სინგალეზები, სიამელები, ტიბეთელები, ინდოელები და სხვ. თავის ქურუმებსა და „სტუდენტებს“ ჰგზავნიან იმ ადგილებში, სადაც ბუდდას მოძღვრება კარგად არის დაცული. იაპონიაში ერთი რელიგიოზური საზოგადოება შესდგა ძველი ბუდდიზმის გამოსაკვლევად და გასავრცელებლად.

წერილი სამეგრელოდან

დღეობები.—იარმუკობა.—მოსავალ-ხილეულობა.—„საკვირკვობის-თვეო“ აბრეშუმის თესლი.

ზაფხულობით ჩვენში ბევრგან იციან დღეობები. იციან და კიდევ ღირსეულად დღესასწაულობენ, მაგრამ საქმე ის არის, რა სარგებლობა მოაქვს ასეთს დღეობებს ხალხისათვის. რამდენი ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ოჯახის პატრონს ეზოდან თავიანთი „მარჯვენა ხელი“ (როგორც თვითონ უწოდებენ) ხარი გამოუშვიათ და გაუყიდნიათ მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრებს დაჰხვედროდნენ რიგიანად. აღსანიშნავი აქ ის გარემოებაა, რომ დღეობა და იმისთვის მზადყოფნა ყველასათვის რაღაც სავალდებულოდ შეიქმნა. გაქვს თუ არა სახსარი, გუნებაზე ხარ თუ არა, არვინ გკითხავთ. 24 ივნისს ყოველ-წლივ იციან დღეობა სოფელ ჯგში. წლეულს იქით ბევრი ცუდი შემთხვევა იყო. სხვათა შორის, ერთი კაცი ხანჯლით დაუჭრია მტერს, მესამეც ცხენიდან ჩამოვარდნილა და ძალზე დაშავებულა და სხვ. 20 ივლისი, წმ. ელიას დღე, ყოველ-წლიური დღესასწაულია სოფ. სოსორისათვის (სენაკის მაზრა). წელსაც დიდ-ძალი ხალხი შეჰკრიბა ამ დღესასწაულმა..

აგვისტოში იციან იარმუკობა ძველ-სენაკში და სოფ. ხობში (მონასტერთან), განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი, რომელიც მეტ-ხანსაც გრძელდება და მეტი სარგებლობაც მოაქვს ხალხისათვის. იგი იწყება სწორედ მაშინ, როცა სოფლის კაცი ცოტად თუ ბევრად მუშაობისაგან თავ-დახწეულია და ამნაირად დროც აქვს სოფლის ნაწარმოები ბაზრად გაიტანოს. ხობის იარმუკობას უფრო სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს.

ყველა კმაყოფილია მოსავლის იმ პირით, რომელიც იმას ჯერ-ჯერობით უჩანს. არც ბუნებას ემდურიან: ან ხანგრძლივი გვალვა გამოდგარიყოს, ან ხშირი წვიმები მოსულიყვნენ—ეს არ ყოფილა. მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ მიწა სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ბევრგან დაუთესელი დარჩა. ხილეულობაც ბევრი მოვიდა სოფლებში, მხოლოდ ყველაფერი ეს ადგილობრივვე დალპა, კაცი-კი არ გამოჩნდა სოფლებში, რომ ეყიდნა და ბაზრად გაეტანა.

კაცის მკვლელობა და ქურდობა უწინდელებრ ხშირია. სოფ. ზენში (ზუგდიდის მაზრაში) ღამე ერთი ახალ-გაზდა ოჯახის პატრონი მეგრელი მოჰკლეს. მკვლელობის მიზეზად ასახელებენ მოკლულის უკმაყოფილებას თავისს მეზობელთან მიწის თაობაზე. ასეთი შემთხვევა განმეორდა სოფ. ნოსირში.

გრენის გარდა ჩვენს ხალხს ყოველ-წლივ მოჰყავს ეგრედ-წოდებული „სკვირკვობისთვეო“ აბრეშუმის თესლი. აქედან ერთნაირი პარკი გამოდის—ფერად ან თეთრი ან ყვითელი. ღირსებით იგი გრენზე ნაკლებია. ყიდვითაც პარკად ამას არავინ ყიდულობს. სოფლელთ ძალიან ამოაქვთ და ისე ჰყიდიან.

უგიმარიონი

დაბა-სოფლები

ხობი (სამეგრელო). ხობი დღითი-დღე იზრდება. ემატება როგორც ვაჭრები, ისე მცხოვრებლები. აქ არსებობს სამინისტრო სკოლა და მახლობლად სამრეკლო. ხობს რომ დაარსებიდან გულშემატკივარი გამოსჩენოდა, ორჯერ იმაზე მეტი იქნებოდა, რაც ეხლაა, მაგრამ მაგარი ისაა, რომ ამ გვარი კაცი აქ დიოგენის ფარნით არის საძებარი. ეგრედ წოდებული დეპუტატები არაფრით არა ზრუნავენ დაბის კეთილ-დღეობისა და მოწყობისათვის. ეს „გოდოლები“, როგორც აქ ეძახიან, მხარ-თეძოზედ წოლისა და ბუზების თვლის მეტს არაფერს აკეთებენ. გაზეთი აქ იშვიათად მოიპოვება. თუ ვინმეს გამოწერილი აქვს, ისიც თავის გამოჩენისათვის. ერთობაან უფრო ბანქოს თამაში. აი, ერთი ნიმუში აქაურების უთაობისა. რამდენიმე წელიწადია, რაც ხობიდან სოფ. ხორგამდე სავალი შარა-გზა გაკეთდა. მას აქეთ ეს გზა დაღრო-ჩაღრდა და იმაზე სიარული ჯოჯოხეთია, მაგრამ ყურის მგდებელი არავინაა. თვით დაბასთან ხსენებული გზა ისეა გაფუჭებული, რომ იშვიათია ისეთი დღე, ერთი ან ორი სახიფათო ამბავი არ მოხდეს: ხან დატვირთული ურმები გადაბრუნდება და ხან ეტლები. ერთის სიტყვით, როცა აქაურები მოწყენილობას მიეცემიან, აქ მოდიან სეირისთვის. ესენი მხიარულობენ მაშინ, როდესაც დატვირთულმა ურმებმა უნდა გაიარონ აქ და საწყალი მეურმე-კი დაბადების დღეს იწყევლის; შეკეთება-კი დიდი არ დაჯდება.

საზოგადოდ, წელს აქეთ გვარიანი პირი უჩანს ყოველგვარ მიწის მოსავალს. სიმინდები ცოტა დაზიანა ამ ივლისის ხანგრძლივმა წვიმებმა, მაგრამ იმედი აქვთ, ისევ გამოკეთდეს.

ხობიდან მესამე ვერსის მანძილზე სოფ. გურფული ძევს. ამ სოფელში ყოველ ორ ივლისს „ილიაობის“ დღესასწაული იციან. წრევანდელმა დღეობა-ჯვარიანობამ მშვიდობიანად და უსიფათოდ ჩაიარა.

ტ. სენაკელი

ახალი სენაკი (სამეგრელო). ახალ-სენაკიდან ნაქალაქევ-ბანძა-მარტვილამდე რამდენიმე დილიჟანი დადის. ამ დილიჟნების პატრონებს მგზავრ-მოგზაურობას ისე შეუშურია, რომ მეტი არ შეიძლება. დილიჟანში სხამენ თითქმის ოცს კაცს, ადგილი-კი ათისაა. თუ მგზავრი დროსმანსავით ვერ ჩასწვდეს, უსათუოდ ზედ სვამენ. ცხენები ისეთი უბაით, რომ ფაეტონის მეშკე ძროხებსა ჰგვანან, გამხმარ სიმინდის მარცვალსავით წისქვილზე დაიფქვებიან. ამიტომაც გადაჭრილი ნიხრი არ არსებობს. ფასს ვინდა სწივს. ოღონდ რიგიანად დაჰკვეთდეს მგზავრი. ერთის საათის სავალ გზას ორ საათს ძლივ-ძლივობით მიათრახებს. აქ პირუტყვთა მფარველი საზოგადოება რომ იყოს, ამ ცხენებს საბალახოდ გაუშვებდა, ხოლო იმის პატრონს ღირსეულად დააჯილდოვებდა...

ტელეფონი

ხონი (იმერეთი). თუ სხვა ქალაქების და დაბების ნოქრებს მიენიჭა თავისუფლება, არც ხონის ნოქრები დარჩენილან ძველ პირობებში. ხონის ნოქრებმაც გამოუცხადეს უკმაყოფილება მაღაზიების პატრონებს. პირველად იმათ მიჰმართეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს და სთხოვეს კვირა-უქმე დღეებში დაეკეტით სავაჭროები და თავისუფლება მიენიჭებინა ნოქრებისათვის. გუბერნატორმა დააკმაყოფილა ნოქრების თხოვნა და გამოუცხადა ადგილობრივ ბოქაულს, რათა სავაჭრო მაღაზიები დაეკეტინებინა კვირაობით 12 საათამდე. ბოქაულმა წარსულ კვირას, ჩამოიარა და სთხოვა ვაჭრებს მაღაზიების დაკეტვა. ბევრმა მაშინვე დაჰკეტა; მხოლოდ ზოგიერთები გაძალიანდნენ; არ უნდოდათ დუქნების დაკეტვა. მაშინ ბოქაულს ნოქრებიც დაეხმარნენ და შეერთებულის ძალით დააკეტინეს დუქნები და თავისუფლება მიანიჭეს შეგირდებსაც.

ხონში ბლომად სდგება ხორცი. სამწუხარო ის არის, რომ ცუდი საქონელი იკვლება: მჭლე და დასუსტებული, ფასი-კი დიდია დაწესებული.

როდესაც საკვირაო სკოლაში მოშეტებულის მხნეობით შეიძლებოდა შეგადინობა, სწორედ

მეცნიერნი, რომანისტები, პუბლიცისტები, პოეტები. 1848 წლიდან დაწყებული გერმანიზაცია თანდათან შესუსტდა. მთავრობამ დაინახა, რომ ყოვლად შეუძლებელია გალიციელთა გაგერმანელება, რომ ყოველი ერი იცავს თავის პიროვნებას და მის განვითარებისათვის საჭიროა თავისუფლება...

გალიციის განვითარება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა 1867 წელს, როდესაც მიენიჭა თავისუფლება, ე. ი. მიეცა უფლება, თვითონ განაგოს საკუთარი შინაური ცხოვრება ხალხის მიერ ამორჩეულის დეპუტატების შემწეობით, რომელნიც არიან წევრნი ლვოვის სეიმისა. გალიციის თვითმმართველობა ჯერ კიდევ არ არის სრული, ბევრი რამ წყდება ჯერ კიდევ ავსტრიის მოხელეების შემწეობით.

ავსტრიის იმპერატორის წარმომადგენელია გალიციაში მისი მოადგილე, რომელსაც ნიშნავს იმპერატორი გალიციის მცხოვრებთაგან. მოადგილეს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს იმპერატორთან. მოადგილეს ეხმარება საქმეების წარმოებაში სამმართველო, რომელიც შესდგება ცხრა დეპარტამენტისაგან. იმპერატორის მოადგილის თავმჯდომარეობით მოქმედობს სამი დაწესებულება (თვითმმართველობის პრინციპის დაცვით): ადგილობრივი სასკოლო საბჭო, სასანიტარო საბჭო და საფინანსო გამგეობა.

მთელი გალიცია გაყოფილია 74 ოლქად და ყოველს ოლქს ჰყავს საოლქო უფროსი, რომელიც პირდაპირ იმპერატორის მოადგილეს ემორჩილება. ქალაქებს ლვოვსა და კრაკოვს განაგებენ პოლიციის დირექტორები.

ყოველს ოლქში საოლქო სასკოლო საბჭოა, რომელსაც შეადგენენ მცხოვრებთა მიერ არჩეული პირები. გალიციის ყველა სკოლა, როგორც დაბალი ისე საშუალო, ექვემდებარება ადგილობრივ სასკოლო საბჭოს, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ვენის ცენტრალურ მთავრობისაგან. ადგილობრივი საბჭო ზრუნავს ახალის სკოლების გახსნას, მასწავლებლების დანიშვნას, წიგნების ამორჩევისა და პროგრამის შემუშავების შესახებ. სკოლის საქმეში მთავრობას ეხმარებიან მცხოვრებლები. 1866 წელს დაარსდა საზოგადოება, რომლის წევრებად არიან როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები.

გალიციის სასამართლოებს კიდევ შერჩათ ძველი რეჟიმის თვისებები. დღემდის უმაღლესი სასამართლო ვენაშია. გალიციაში ორი უმთავრესი სასამართლოა ლვოვსა და კრაკოვში, ცხრა საპროვინციო სასამართლო დიდ ქალაქებში და 161 საოლქო სასამართლო. ყველა უმთავრესი საქმე, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა, ირჩევა ნაფიც მსაჯულთა მიერ

გალიციის მმართველობის დიდს ნაკლს შეადგენს მისი ადგილობრივი საფინანსო საბჭო, რომელსაც ესაჭიროება ძირითადი რეორგანიზაცია, რადგან იგი სრულებით არ უწყობს ხელს მცხოვრებთა ქონებრივ წარმატებას.

გალიციის თვითმმართველობის საფუძველს შეადგენს სათემო თვითმმართველობა. თემის საქმეებს განაგებს სათემო საბჭო, რომლის წევრებს ირჩევენ თემის მკვიდრნი. საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა ქალაქებში ბურგომისტრი (ქალაქის თავი); სოფლებში—ვოიტი (მამასახლისი). სათემო საბჭომ უნდა იზრუნოს თავის წევრების პირადსა და ქონებრივ დაცვაზე, სწავლა-განათლების განვითარებაზე, ღარიბ-ღატაკების მოვლაზე და სხ. ოლქის საქმეებს აგრეთვე განაგებს საოლქო საბჭო, რომელიც შესდგება 46 წევრისაგან. წინად საოლქო საბჭოებში მხოლოდ მებატონეები და მღვდლები იყვნენ წევრებად, ეხლა კი, სწავლა-განათლების გავრცელების შემდეგ, ბევრი გლეხია საბჭოს წევრად, ზოგან გლეხები უმრავლესობასაც შეადგენენ.

გალიციის უმაღლეს მმართველობას, რომელიც დამოკიდებულია ვენის ცენტრალურ მთავრობისაგან, შეადგენს სეიმი, რომელიც იკრიბება ლვოვში და რომლის წევრებს ირჩევს ყველა გალიციელი, გარდა მეტად ღარიბისა. სეიმი შესდგება 150 წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ 5 წლით; ამასთან მებატონეები ირჩევენ 44 დეპუტატს, გლეხები—74, მოქალაქენი—20, სავაჭრო-სამრეწველო—3. გარდა ამისა სეიმის წევრებად ითვლებიან აურჩევლად რექტორები ლვოვისა და კრაკოვის უნივერსიტეტებისა და 7 ეპისკოპოსი გალიციისა.

თავის წევრთა შორის სეიმი ირჩევს ექვსის წლით „საერობო მმართველობას“, რომელიც შესდგება ექვსის წევრისა და ექვსის მათის მოადგილესაგან. ეს „საერობო მმართველობა“ წარმოადგენს გალიციის სამინისტროს მსგავსს. იგი განაგებს: 1) სასკოლო საქმეებს, 2) სამადლო დაწესებულებათ, 3) საზოგადო სამუშაოს, 4) გალიციის ადგილობრივ ფინანსებს. სეიმისა და „საერობო მმართველობის“ თავმჯდომარეა საპროვინციო მარშალი, რომელსაც ირჩევს იმპერატორი სეიმის წევრთა შორის.

გარდა საკუთარის სეიმის დეპუტატებისა გალიცია გზავნის დეპუტატებს საიმპერიო პარლამენტში, რომელნიც თვალყურს ადევნებენ იქ, რომ ყოველი ახალი კანონი არ ეწინააღმდეგებოდეს გალიციის ინტერესებს. პარლამენტში გალიციის დეპუტატთა რიცხვი შეადგენს 78-ს, რომელთაგან 63 დეპუტატს ირჩევენ მებატონეები, გლეხები და მოქალაქენი, 15 დეპუტატი-კი საყოველთაო არჩევით არჩეული დეპუტატია.

წინად პარლამენტში გალიციის წარმომადგენლებად მარტო მებატონეები იყვნენ, რომელნიც, რასაკვირველია, უფრო საკუთარს ინტერესს იცავდენ. მაგრამ მალე გვერდში ამოუდგნენ მათ გლეხები და მოქალაქენი. ბოლო დროს გალიციის მუშებმაც გაგზავნეს თავისი დეპუტატები პარლამენტში...

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი თანდათანი პოლიტიკური განვითარება გალიციისა შეუძლებელი იყო უბრძოლველად—საჭირო იყო სასტიკი ბრძოლა. ვინც პირველად დაიჭირა ადგილი, არ უნდოდა სხვებისთვის დათმობა. საჭირო შეიქმნა დავობა, ბრძოლით მოპოვება უფლებისა, კრებების გამართვა, დემონსტრაციები, პროტესტები. საჭირო შეიქმნა მთელი ძველის ცხოვრების შენძრევა. ხალხი და საზოგადოება ამოძრავდა და დღეს გალიციის მომავალი მტკიცე წარმატების ნიადაგზეა დამყარებული.

(შემდეგი იქნება).

ამ დროს სრულიად შეწყვეტს მეცადინეობა. მასწავლებლებით სავსეა ხონი, ყველას შეეძლო კვირაში ერთი საათი ემეცადინა საკვირაო სკოლაში და ამით საქმე განეგრძოთ ეკენისთვემდე, როდესაც დაბრუნდებიან მასწავლებელი ქალები. მაგრამ ამაშიაც გულცივობა გამოვიჩინეთ.

საშინლად სძულთ ზოგიერთ ხონელ ქალებს „მჭყაპნელები", განსაკუთრებით ისინი, ვინც იმათზე კარგ რამეს არ დასწერენ. საცოდავ „მჭყაპნელს" (ეს „ჭყაპნა" ქალების მოგონილი ტერმინია) კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ მანდილოსნები ხონის „ბულვარზე", ხონის „ქუჩებზე".

ილია ბახტაძე

—

სოფ. ჭალუანი (იმერეთი). სოფელი ჭალუანი ეკუთვნის დიჩის საზოგადოებას. 12 ივლისს დიდი უბედურება ეწვია ამ სოფელს: ნაშუადღევის სამ საათზე მშვენიერი დარი უეცრად შეიცვალა, ასტყდა ელვა-ჭექა და საზარელი გრიგალი, რომელსაც მოჰყვა ქათმის კვერცხის ოდენა სეტყვა, რომლის მსგავსი, მოხუცებულების სიტყვით, ჯერ არავის არ უნახავს. სეტყვამ გაანადგურა ამ სოფლის სარჩო-საბადებელი: დატაროვებული სიმინდი და მოსამკალი პური მიწასთან გაასწორა; ორჯელ მორწყული მშვენივრად მსხმოიარე ვენახი ახალ გასხლულს დაამსგავსა და ყოველნაირი ხეხილი სულ ერთიანად ჩამობერტყა. დაისეტყვნენ აგრეთვე სოფ. ჭალუანის შემდეგი მეზობელი სოფლები: გოდოსი, დიჩი, კარათი, ბუკეთი და წაბანი. დაზარალებულთა რიცხვი 300 კომლამდის იქნება. ხალხის ტირილს და გოდებას საზღვარი არა აქვს. სტირიან უბედურები: რითი გამოიკვებონ თავი, რითი გაისტუმრონ ათასნაირი გადასახადი და რითი დაუხვდნენ სტუმარსა და მოყვარეს? დაზარალებულები ჰფიქრობენ, თხოვნა მიართვან გუბერნატორს და შემწეობა სთხოვონ.

ვლადიმერ მაჭარაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

ამ ერთის წლის წინად ფული შეგროვდა ახალციხის ბლაღოჩინის დეკანოზის მ. დიმიტრი ხახუტაშვილისთვის ძვირფასის ჯვრის მისართმევად იმის საბლაღოჩინო სამღვდელოებისაგან. დღევანდლამდის ვერც ერთ ქართულ გაზეთში ვერ, ამოვიკითხე, ამ ფულით იქმნა ჯვარი გამოწერილი და მირთმეული თუ არა. ვთხოვ მიპასუხოს, ვისაც ეს შეგროვილი ფული გადაეცა.

მღვდ. ს. უსტიაშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივლისი

ნეაპოლი. ვეზუვის მწვერვალი გაიპო და ამოვარდა შიგნიდან ახალი ლავა. ვულკანი ძლიერად მოქმედებს.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის სადიპლომატო აგენტმა ხელ-ახლა აცნობა პორტას, რომ ბოლგარიის მთავრობის მიერ საზღვარზე მიღებულ ზომების წყალობით, ამ ბოლოს დროს არც ბოლგარიის რაზმები და არც ბოლგარიის ოფიცრები არ გადასულან საზღვარს ოსმალეთში და არც შემდეგში გადავლენ. ბოლგარია ეხლაც ისევ მიუდგომლად იქცევა, როგორც აქამდე იქცეოდა.

ათინა. კიფირის კუნძულზე ძლიერი მიწის ძვრა მოხდა. სამი სოფელი თითქმის სულ დაიქცა. მიწა მთელ საბერძნეთში იძრა.

ლონდონი. კომისია, რომელიც შესდგა უცხოელთა იმიგრაციის საქმისათვის, ურჩევს პარლამენტს, კონტროლი გაუწიოს ზოგიერთ კლასებს და არ შეუშვას ისინი, რომელთაც ცუდი სახელი აქვთ და სახელმწიფოს შესანახი ხდებიან; აგრეთვე ისინი ურჩევენ განსაკუთრებით უთვალ-ყური ადევნონ აღმოსავლეთ ევროპიდან გადასახლებულთ.

ვენა. სამხედრო აგენტად ბელგრადიდან ადარაგის დანიშნავენ, რადგან ვენის მთავრობამ მოითხოვა, ისეთი კაცი დანიშნონ ეხლანდელ ატაშეს მოადგილეთ, რომელიც უკანასკნელ წელს ბელგრადის გარნიზონში არ უფილიყოს და მკვლელობაში მონაწილეობა არ მიეღოს.

სალონიკი. რკინის გზის ხიდი ბეზბეკში მიტროვიც-სალონიკის შტოზე ბოლგარებმა ააფეთქეს.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში მე-4 გვერდზე, მე-3 სვეტში პირველი დეპეშა შეცდომითაა დაბეჭდილი. კონსტანტინეპოლის მაგიერ ლონდონი უნდა ეწეროს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 29 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	37,32½
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	447 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	341 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	290¼ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	198½ „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს.48 წ.).

ზორაბანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—200)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ეკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა-ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების სრულს ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან**, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევარის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას,ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს, 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავთავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—8)

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ

„მოგზაურის".

რედაქციაში იყიდება შემდეგი იაფფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფასი 5 კაპ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კაპ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფასი 5 კაპ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფასი 5 კაპ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფასი 7 კაპ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ბავშვები უდროოდ, ფასი 5 კაპ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფასი 5 კაპ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კაპ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით? ფ. 5 კ.
12. „მურია", საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, 5 კაპ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კაპ,
14. სულით ავადმყოფი მოსწავლენი, ფ. 5.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფასი 7 კაპ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილო და მოზრდილთათვის მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კაპ.
17. საუნჯე ავადმყოფისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობათა, ფ. 15 კაპ.
18. საუნჯე მეურნისა ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება-გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქებისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კაპ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კაპ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კაპ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კაპ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კაპ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კაპ.
25. მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციყვუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი. ფ. 10 კ.
27. ლინჰარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კაპ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კაპ.
29. შიო-თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კ.
30. როგორ ცხოვრობენ ჩინელები, ფ. 10 კ.
31. ცხენის წურბელა, მოთხრობა, ფ. 10 კ.
32. მაჰმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კაპ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კაპ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, სურათებით, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვებ ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კაპ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფ. 5 კაპ.
41. ალბომი „ქართველთა ტომი", ასი მეტი სურათით, 70 კაპ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ან მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხურდა ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯსათვის სამ-სამი კაპეიკი წაემატოს თვითეულ დაბარებულ წიგნზე.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ. (10—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაზანისა.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტასი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 31 Іюля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)